ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - ზოია ბალიაშვილი

თანამდებობის დასახელება - საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ფრაქციის დასახელება - ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო''

კომისი(ებ)ის დასახელება

- საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია
- საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისია

არჩევის წესი - პროპორციული
საანგარიშო პერიოდი- 01.01.2023 წ.-დან 01.11.2023წ. -მდე

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

   01.01.2023 წ.-დან 01.11.2023წ. -მდე საკრებულოს სხდომების რაოდენობა -10
   საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 10

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 2023 წ.

   - საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა -7 , ესწრებოდა -7 სხდომას
   - საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისია კომისიის სხდომების რაოდენობა -6 , ესწრებოდა - 6 სხდომას;

მ/შ დროებითი კომისიები:

- ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ, სახელმწიფო შესყიდვით განხორცილებული, 2023 წელს მიღებული საქონლის, მომსახურების და სამუშაოების მიღება-ჩაბარების კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა - 53 , ესწრებოდა - 50 სხდომას;

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების სამუშაო ჯგუფი წევრი კომისიის სხდომების რაოდენობა - 1 , ესწრებოდა - 1 სხდომას;

- ახალციხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი , საბჭოს სხდომების რაოდენობა -2 , ესწრებოდა -2 სხდომას.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენ კომისიის წევრი, კომისიების რაოდენობა - 2 , კომისიებზე დასწრება -2;
- ახალციხის მუნიციპლაიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის ინიცირების სამუშაო ჯგუფის სხდომა, კომისიების რაოდენობა - 1 , კომისიებზე დასწრება -1.

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 2 სხდომა

   ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 2 სხდომა

4. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:
   - ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტიკცება;
   - ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცება;
   - ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო კულტურული და სპორტული პროგრამების ფარგლებში ფულადი საჩუქრების წესის დამტკიცება;
   - ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და ფულადი საჩუქრის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ და სხვა.
   - ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ"ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 ივნისის N44 დადგენილებაში ცვლილების შტანის თაობაზე;
   - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე;
   - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე (შენობა თეატრისათვის);
   - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის,,ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება"-სათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;
   - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება"-სათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებები გაერთიანება" - სათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

5. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 8
   შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 93

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები :

- სოციალური პროგრამები;
- ინფრასტრუქტურული საკითხები.
- თამარაშვილის ქუჩაზე მიუსაფარი ცხოველების პრობლემა.

6. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები(მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები.
   დეტალური შესწავლა მოქალაქეების მიერ დასმული საკითხების და მის აღმოსაფხვრელად სხვადასხვა ორგანოსთან შუამდგომლობა.
   ძირითადი სოციალური საკითხები წესრიგდება მერთან და მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით, რიგ შემთხვევებში სახელმწიფო საქვეუწყებო ორგანოებთან კომუნიკაციის გზით.

   - თამარაშვილის N 2,4,6,8,29,31,33 კორპუსების სადარბაზოების შიდა ფართის კეთილმოწყობის საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთნ თანამშრომლობით პროექტის შდგენა, ტენდერზე გატანა და მიმდინარე სამუშაოების დაწყება, გარდა N6 კორპუსისა, რომლის საკითხებიც გატანილია ტენდერტზე;
   - ბაღინაშვილის ქუჩის N2 ჩიხის მოასფალტების პრობლემის მოგვარება, კერძოდ, ქალაქის მერის უშუალო ჩართულობით საკითხის დაპროექტება. გამოვლინდა ტენდერში გამარჯვებული კომპანია და მიმდინარეობს სატენდერო-სახელშეკრულებლო დოკუმენტაციის მოწესრიგება;
   - თამარაშვილის N6 კორპუსის ფასადისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის საკითხთან დაკავშირებით, შუამდგომლობა გაეწია საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მიერ და გაიგზავნა შესაბამისი წერილები ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში და „ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგები კომპანიაში";
   - თამარაშვილის ჩიხში საავტომობილო გზის დროებით, მეორადი ასფალტით მოწესრიგების საკითხთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა ა (ა) იპ ,,ახალციხის სერვის ჯგუფთან";

- ქალაქ ახალციხეში, ყაზბეგის ქუჩაზე (რაბათის უბანი), მინი სტადიონის რეაბილიტაციის, სპორტული სავარჯიშო ტრენაჟორებისა და ფანჩატურის მოწყობის საკითხებთან დაკავშირებით შოამდგომლობის გაწევა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან. ამჟამად მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.
- მოქალაქეს, რომელსაც დაკარგული ჰქოდა პირადობის მოწმობა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაეწია კონსულტაცია, შესაბამისი დახმარება იუსტიციის სამინისტროში ვიზიტისა და საბოლოოდ პირადობის მოწმობის მისაღებად.

7. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

- თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან, ტრენინგებში, შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობა.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მონახულება.
- მოსახლეობის თხოვნით თამარაშვილის ქ. N6 შეხვედრა მოეწყო მოსახლეობასთნ.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატ ქალთა ინიციატივით და არასამთავრობო ორგანიზაცია დემოკრატ ქალთა საზოგადოების ხელშეწყობით, ქალთა ონკოლოგიური დაავადებებისა და სკრინიგის ცნობიერების გაზრდისთვის კამპანიის წარმოება. აქტიურაად ვიყავი ჩართული ,, ვარდისფერი ოქტომბეერის" ღონისძიებებში. მთელი წლის განმავლობაში ვმართავდით შეხვედრებს, როგორც მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან ასევე სკოლების, საბავშო- ბაგა ბაღის თანამშრომლებთან. გასინჯვები ტარდებოდა, როგორც ადგილზე მისვლით ასევე პირიქით, მოქალაქეების მხრიდან კლინიკაში ვიზიტის შემთხვევაში. მკურნალობის ეტაპის დაფინანსება ხდება, როგორც სახელმწიფოს მხრიდან, აგრეთვე ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესისი ფარგლებში.

შევსების თარიღი 20/X 2023

წარდგენის თარიღი 23.10.2023

ხელის მოწერა